ქალაქ ფოთის
მუნიციპალიტეტის

სახელმძღვანელო

2024

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

რა არის მუნიციპალიტეტის სახელმძღვანელო?

მუნიციპალიტეტის სახელმძღვანელო არის რესურსი მოქალაქეებისათვის, სადაც ასახულია მუნიციპალიტეტის სტრუქტურა, საქმიანობის მიმართულებება და მოკლე აღწერა, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისა და მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები. სახელმძღვანელო ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე აქტებს.

რატომ მუნიციპალიტეტის სახელმძღვანელო?

სახელმძღვანელო უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მნიშვნელობის აღწერას, ადმინისტრაციული მოწყობის მარტივ გაგებასა და მუნიციპალური სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებულ პირთათვის.

ვის შეუძლია ისარგებლოს სახელმძღვანელოთი?

სახელმძღვანელო არის რესურსი მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო მოხელეებისთვის, მუნიციპალიტეტში დასაქმებების მსურველთათვის, ადგილობრივი თვითმმართველობით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის.

შესავალი

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით - ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით.

აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის მუნიციპალიტეტი ნერგავს სხვადასხვა სახის სერვისებს, უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობასა და ეფექტურობას.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის სექტემბერში A/RES/70/1 რეზოლუციით მიიღო 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში. რეზოლუციაში გაიწერა მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია და ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით განზომილებებში ერთიანდება.

მდგრადი განვითარების მიზნები, შესაბამისი ამოცანებით, ემსახურება სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრას; ქვეყნებში და ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირებას; მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებების მშენებლობას; ადამიანის უფლებათა დაცვას; გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა და ქალთა და გოგონათა გაძლიერებას; პლანეტისა და მისი ბუნებრივი რესურსების ხანგრძლივ დაცვას. მიზნებმა, ასევე უნდა შექმნან პირობები მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის, კეთილდღეობისა და ღირსეული სამუშაო გარემოსთვის.

საქართველოს მთავრობამ მოამზადა მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი, რომელიც წარმოაჩენს გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების პრიორიტეტებს ეროვნულ დონეზე. დოკუმენტის მიზანია, მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეროვნული პოლიტიკის დანერგვა 2030 დღის წესრიგის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის ჩართულობა მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე ლოკალიზებასა და ეროვნული დოკუმენტის პრიორიტეტების განხორციელებაში უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან მუნიციპალიტეტის ყოველდღიური საქმიანობა უშუალოდ მოსახლეობასთან კომუნიკაცია, კონკრეტულ საჭიროებათა განსაზღვრა და გამოწვევათა დაძლევაა, რასაც, გრძელვადიან პერსპექტივაში ეყრდნობა პრიორიტეტების დასახვისა და მუნიციპალური სერვისების შემუშავების პროცესი.

ქალაქ ფოთის

მუნიციპალიტეტი

65,8 კმ²

41 540 – მოსახლეობა

ქვეყნის უდიდესი საზღვაო პორტი

კოლხეთის ეროვნული პარკი – იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობა

68 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი

რა არის ადგილობრივი თვითმმართველობა?

ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

რა არის მუნიციპალიტეტი ?

მუნიციპალიტეტი არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი.

მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები. მუნიციპალიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

მუნიციპალიტეტს აქვს გერბი და დროშა.

მუნიციპალიტეტის ორგანოებია:

მუნიციპალიტეტის საკრებულო – მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც აირჩევა 4 წლის ვადით.

მერი – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი. მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებასა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის

პოლიტიკის დოკუმენტები:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი **2023-2030 წ**.
2. კომუნიკაციის სტრატეგია **2023-2026 წ.**
3. მდგრადი განვითარების მიზნების ფოთის მუნიციპალური დოკუმენტი **2023-2030 წ.**
4. ახალგაზრდობის სტრატეგია **2021-2024 წ.**
5. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგიის გეგმა **2022-2027 წ.**
6. პრიორიტეტების დოკუმენტი **2024-2027 წ.**
7. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის **2023 წლის** სამოქმედო გეგმა
8. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის **2023-2026 წლების** საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა
9. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის **2023-2027** წლების სამოქმედი გეგმა
10. მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა **2023-2030 წ.**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას. მერიას ხელმძღვანელობს მერი. მერია შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან.

სტრუქტურა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სტრუქტურული ერთეულებია - მერიის სამსახურები, რომლებიც შესაბამისი დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერის დავალებების შესრულებას.

მერიის სამსახური საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის და შესაბამისი სამსახურის დებულებების საფუძველზე, მერის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმების და დავალებების შესაბამისად.
მერიის სამსახურებს აქვს ქვედანაყოფები, რომლებიც განისაზღვრება მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებითა და საშტატო ნუსხით.

მერიის თანამდებობის პირები:

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახური
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური

დავით კვიციანი

მერის პირველი მოადგილე

- ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის ცენტრალური პარკი”
- ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სერვისების ცენტრი”
- ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი
- შპს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანია”
- შპს ,,ფოთიქალაქპროექტი”
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური

მამუკა პაპასკირი

მერის მოადგილე

- ა(ა)იპ ,,მუნიციპალური ინსპექცია”
- ა(ა)იპ ,,თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრი”
- ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსი”
- შპს ,,ლაბორატორიული კვლევის ცენტრი”
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
- ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი

ლექსო თოდუა

მერის მოადგილე

- ა(ა)იპ ,,თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი”
- ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი”
- ა(ა)იპ ,,სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლა”
- ა(ა)იპ ,,არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი”
- ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სასწავლებელი”
- ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი
- ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი”
- ა(ა)იპ ,,თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება”
- ა(ა)იპ ,,თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ხელბურთის კლუბი ოქროს ვერძი”
- ა(ა)იპ ,,თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება”
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
სამსახურები

გვანცა გვაძაბია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ვასილ თოდუა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი

თეონა გეთია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსი

მაია მაკალათია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

დავით ჯგერენაია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი

გიორგი ჩიქობავა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

ჯონი გურგენაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი

ზურაბ ტიბუა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

მერიის სამსახურების მუშაობის კოორდინაციისთვის ხელშეწყობა, მერიის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, ანალიტიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფა; მერიაში ადამიანური რესურსების მართვა, მოსამსახურეთა საქმიანობის ხელშეწყობა, ერთიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა, მერიის კავშირურთიერთობების ორგანიზება საზოგადოებასთან და დაწესებულებებთან.

სამსახური ასევე, უზრუნველყოფს საქართველოს კანონით ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი" გათვალისწინებული ბავშვის (18 წლამდე) უფლებების დაცვის ღონისძიებების განხორციელებას, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

სამსახურის სტრუქტურაში შედის სოციალური მუშაკი, რაც ძირითადად გულისხმობს ბავშვისა და ოჯახის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ზიანის რისკებისგან გამომდინარე, შიდა მუნიციპალურ სოციალური, ჯანდაცვის და სხვა ტიპის პროგრამებთან მათ დაკავშირებასა და ამ პროგრამებით გათვალისწინებული დახმარების მიწოდებას.

განყოფილებები

- საქმისწარმოების განყოფილება
- საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილება
- იურიდიული განყოფილება
- ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება
- ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივა

- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია, 2022 წელს ჩაერთო UNICEF-ის პროექტში, "ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივა," რომელიც გულისხმობს ბავშვზე მორგებული ქალაქის სტატუსის მიღებას 2024 წლისთვის.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთებას, მიღებული ბიუჯეტის შესრულებას, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, მიზანშეწონილ და ეფექტიან გამოყენებას და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებას, მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მერიის სამსახურების საქმიანობის საბუღალტრო მომსახურებას; ადგილობრივი შესყიდვების ორგანიზებასა და განხორციელებას.

განყოფილებები

- საბიუჯეტო დაგეგმვისა და სახაზინო კონტროლის განყოფილება
- შესყიდვების განყოფილება
- საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება
- მატერიალურ ტექნიკური - უზრუნველყოფის განყოფილება

spa.ge - სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა

ტენდერების შესახებ ელექტრონულად განცხადების მომზადება და გამოქვეყნება

სატენდერო განაცხადების ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე http://procurement.gov.ge

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახური

სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა სფეროზე ორიენტირებული პროექტებისა და პროგრამების განხილვა და მომზადება; ინოვაციური პროექტებისა და პროგრამების მომზადება და განხორციელების ხელშეწყობა და სამართლებრივი დოკუმენტების პროექტების მომზადება; მუნიციპალური სერვისების განვითარება და მომსახურების ინოვაციური პროდუქტების შემუშავება; მუნიციპალიტეტის ქონების მართვა და განკარგვასთან დაკავშირებით წინადადებების მომზადება.

სამსახური ასევე უზრუნველყოფს, მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის იდენტიფიცირებასა და შესაბამისი აქტივობების მხარდაჭერას, საინვესტიციო პორტფელის, პუბლიკაციებისა და ციფრული კატალოგის შექმნას, თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ტურიზმისა და შემოქმედებითი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას და სხვა.

განყოფილებები

- ქონების მართვის განყოფილება
- ინოვაციებისა და მუნიციპალური სერვისების განყოფილება
- ინვესტიციების მოზიდვისა და ტურიზმის განყოფილება

პროექტები

- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტმა, პარტნიორ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან ერთად განახორციელა, პროექტ "PACA-კონკურენტული უპირატესობის ამაღლება თანამონაწილეობის გზით" საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგი.

- ქალაქ ფოთის მუნიპალიტეტის მერიის და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის, შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით, განხორციელდა, იდეების კონკურსი „ფოთის სითითონი", რომელიც ქალაქის ეკონომიკური ზრდისა და პოზიტიური ურბანული ცვლილებებისკენ იყო მიმართული.

- ევროკავშირის პროექტის EU4Dialogue ფარგლებში, განხორციელდა, ქართულ-სომხური საპილოტე არტ-რეზიდენციის პროგრამა „მომიტანე ჰორიზონტი BRING ME THE HORIZON", პროექტის ფარგლებში გაიმართა მულტიდისციპლინური ხელოვნების გამოფენა, რომელიც ორიენტირებულია ფოთის მდიდარი ეკოსისტემის წარმოჩენაზე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური

მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავება, მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება.

სამსახური ასევე, უზრუნველყოფს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენას, მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადებას (წითელი ხაზების დადგენა), მიწის ნაკვეთის დაყოფა (გამიჯვნა)/გაერთიანებასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემას, არქიტექტურული პროექტების შეთანხმებას, მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადებას და სხვა.

განყოფილებები

- ურბანული დაგეგმარების და სივრცითი მოწყობის განყოფილება
- მშენებლობის ნებართვების განყოფილება

ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია:

- მალთაყვის რეკრეაციული ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმა
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია– გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მართვა და დამტკიცებული პროგრამების განხორციელება მოსახლეობის შრომითი მოწყობის და უმუშევართა, ვეტერანთა და დევნილთა სოციალური დახმარების, გენდერული თანასწორობის საკითხებში.

განყოფილებები

ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება

სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება

ძირითადი სერვისები:

- მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობა
- მარტოხელა მშობელთა დახმარება
- მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა
- შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერა
- სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერა
- ახალშობილთა ოჯახების დახმარება
- მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება
- „ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/ ხელშეწყობა“
- დიაბეტით დაავადებულ (18 წლამდე) ბავშვთა მატერიალური დახმარების პროგრამა
- მარტოხელა მშობელთა დახმარება
- განსაკუთრებით მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის _ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გარე განათების, სანიაღვრე მეურნეობის, მუნიციპალიტეტის გამგებლობაში არსებული კომუნიკაციების შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების დაგეგმვას, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, მათი განხორციელების კოორდინაციას;

განყოფილებები

- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და მშენებლობის განყოფილება
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების, დაგეგმვისა და კოორდინირების განყოფილება
- ტრანსპორტის განყოფილება
- მშენებლობის ზედამხედველობის განყოფილება

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური

მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფის, ფინანსების მართვის გაუმჯობესების, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობის უზრუნველყოფა, მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრა და პრევენცია; მენეჯერული და ფინანსური კონტროლის განხორციელება, ორგანიზაციული სტრუქტურის, მეთოდების და პროცედურების ანალიზი დაწესებულების მიერ თავისი მიზნების მიღწევისა და საქმიანობის კანონიერად, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართვის უზრუნველსაყოფად, მერიაში მომზადებული სამართლებრივი აქტების ვიზირება.

განყოფილებები

- **შიდა აუდიტის განყოფილება**
- **ინსპექტირების განყოფილება**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველყოფა.

განყოფილებები

- **კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება**
- **სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება**

მუნიციპალიტეტს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ამდენად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში შედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები მისთვის მიკუთვნებული სფეროების მიხედვით, როგორიცაა:

1. კულტურა
2. სპორტი
3. განათლება
4. ჯანდაცვა
5. ინფრასტრუქტურა

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი

ცენტრის მიზანია მოქალაქეთა მომსახურების სერვისის გაუმჯობესება, აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება, სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბების, მოსახლეობის სამართლიანი და ეფექტური დახმარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წინადადებებისა და ინფორმაციების მომზადება.

- შინ მოვლის სერვისი
- უფასო კვების უზრუნველყოფის სერვისი

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“

- გარე განათების მოვლა-პატრონობა
- საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობა
- ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავებას და ნარჩენების გატანა
- დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება
- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას და განვითარება
- უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების კონტროლი
- ქუჩების სარემონტო სამუშაოებს, სანიაღვრე არხებისა და სატუმბი სადგურების მოვლა-პატრონობა.
- საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციული შენობის (მათ შორის მერიის სტრუქტურული ერთეულების) მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი”

- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარება
- მოსწავლეთა ტექნიკური, საბუნებისმეტყველო, ეკოლოგიური, მხატვრული და ესთეტიკური კუთხით განვითარება
- ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და სწავლება
- ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენა და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა
- მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების, სტუდიების, მოყვარულთა თეატრების, საერთო-შემეცნებითი ჯგუფების ჩამოყალიბება
- მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, საგნობრივი წრეების შექმნა.
- სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას.

ა(ა)იპ "არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი"

- საფორტეპიანო
- საესტრადო
- ვოკალური
- კლასიკური ქორეოგრაფია
- მოსამზადებელი ჯგუფი
- ხალხური საკრავები
- საგუნდო–სადირიჟორო.

ა(ა)იპ “თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი”

სერვისები

პარაზიტოლოგიური ლაბორატორიული კვლევა

აივ ინფექციის სკრინინგი

ტუბერკულოზის სკრინინგი

ტრანსმისიული გადამდები მწერების საწინააღმდეგო ღონისძიებები

სხვა საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღონისძიებები

შ.პ.ს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანია”

შ.პ.ს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანია” ახორციელებს საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფას ქალაქის ოთხივე უბნის: ცენტრის, კუნძულის, ნაბადის და მალთაყვის მიმართულებით .

მგზავრობის გადასახადისაგან სრულად თავისუფლდება ქალაქ ფოთში რეგისტრირებული (მცხოვრები) შემდეგი კატეგორიის მოქალაქეები:

- **0 – 6 წლამდე ბავშვები;**
- **სკოლის მოსწავლეები (24 საათში 2-ჯერ);**

- **ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრის“ ბენეფიციარები, სასადილოს თანამშრომლები, მედდები და ექიმები;**

- **ა(ა)იპ კოალიცია „სოციალური რეფორმებისათვის“ დღის ცენტრის თანამშრომლები.**

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირები დაგადაადგილებისას მათთან ერთად მყოფი დამხმარე ნებისმიერი პირი.**

- **M2 კატეგორიის ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადისაგან თავისუფლდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრის ბენეფიციარები.**

ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ბავშვთა ცენტრი

(ა)აიპ თვითმმართველი ქალაქის – ფოთის ბავშვთა ცენტრი ახორციელებს მზრუნველობა მოკლებული ბავშვების მომსახურებას, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესაბამისად.

ბავშვების ჩარიცხვა ხორციელდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მომართვის საფუძველზე,

ბავშვებს ეწევათ 24 საათიანი მომსახურება, საჭიროებიდან გამომდინარე უტარდებათ ლოგოპედის, ფსიქოლოგის დახმარება.

ბავშვები უზრუნველყოფილია ტანსაცმლით, პირადი ჰიგიენის საშუალებებით, სასკოლო ნივთებით, ოთხჯერადი კვებით.

შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“

შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“ ახორციელებს, სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიურ, სანიტარულ - ქიმიური, სეროლოგიური, პარაზიტოლოგიური კვლევების წარმოებას.

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი

- სიმღერის, ცეკვის, ზეპირსიტყვიერების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მოყვარულთა თეატრების ნიმუშების მოძიებას, გამოვლენას, თავმოყრას, შენარჩუნება-განვითარებას და მათი შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობას.

- ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლებსა და ლოტბარებთან, მოცეკვავეებსა და ქორეოგრაფებთან, ხალხურ მთქმელებთან, ხალხური რეწვის ოსტატებთან, თეატრალებთან მჭიდრო კონტაქტი, კონსულტაციები და მათი რეპერტუარის დახვეწა-გამდიდრება, ყოფიდან გამქრალი ხალხური სიმღერების, სიმღერის ტექსტების, ცეკვების, ზეპირსირტყვიერების ჟანრების, ხალხური რეწვის დარგების აღდგენა-გამომზეურება, ცენტრის არქივის შევსება და გამდიდრება (მის ბაზაზე ფოლკლორის მუზეუმის გახსნა).

- ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრში

  არსებული კოლექტივების ხელშეწყობა, მათ ბაზაზე შიდა საქალაქო, რესპუბლიკური და საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებების მოწყობა და მონაწილეობის მიღება.

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი

- კრივი
- ჭიდაობა
- ჭადრაკი
- ფეხბურთი
- კალათბურთი
- ძალოსნობა
- მძლეოსნობა
- ცხენოსნობა
- კანოე
- ნიჩბოსნობა
- წყლის სახეობები
- აღმოსავლური ორთაბრძოლები
- ძალისმიერი სამჭიდი

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსი”

- სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება;
- დასვენებისა და გართობის ღონისძიებების ხელშეწყობა და ორგანიზება;
- პროფილის შესაბამისად, ბავშვთა აღზრდა და სპორტული დაოსტატება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- ცურვის ცალკეული სახეობების მიხედვით მუნიციპალური შეჯიბრებების მოწყობა;
- სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება.

მრავალფუნქციურ საცურაო კომპლექსში მოწყობილია:

- დიდი და მცირე ზომის საცურაო აუზები
- ფიტნეს დარბაზი
- მულტიფუნქციური სპორტული დარბაზი
- სასტუმროს ნომრები
- კაფეტერია
- მწვრთნელებისა და საექიმო კაბინეტები.

ა(ა)იპ „ქალაქის-ფოთის ცენტრალური პარკი“

- ინფრასტრუქტურის, არსებული მწვანე საფარის, მწვანე ნარგავების, ყვავილების და ა.შ. მოვლა-პატრონობის განახლებისა და აღდგენის, პარკის ტერიტორიაზე სანიტარული ნორმების დაცვის სამუშაოების უზრუნველყოფა.
- კულტურულ, შემეცნებით-გასართობითი დანიშნულების მქონე ახალი ობიექტების შექმნა.
- მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო.
- მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება.
- ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა.

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექცია

- არქიტექტურული სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევა, პროექტიდან გადახვევა, მიჯნების დარღვევა.
- სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების მონიტორინგი, უკანონო მშენებლობის მონიტორინგი.
- სამშენებლო საქმიანობისას უსაფრთხოების ნორმის დაცვის შემოწმება.
- გარე რეკლამების უნებართვო განთავსება.
- უკანონო შენობების, დახლების, სტენდების, დაფების მონტაჟი
- სამიჯნე ნიშნის, სასაზღვრო ზოლის მოშლის ან თვითნებური დარღვევის გამოვლენა, გარე ვაჭრობის წესების დარღვევა.
- პარკირების წესების დარღვევა.

ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება

- ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება, სააღმზრდელო დაწესებულებების ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს, აღსაზრდელთა სოციალურ, შემეცნებით, ფიზიკურ განვითარებას. ბავშვთა მოვლას, შენახვას, მეთვალყურეობას, იცავს მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, ქალაქში დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 15 სააღმზრდელო დაწესებულება

1

ქალაქ ფოთის ხელბურთის კლუბი ,,ოქროს ვერძი''
ახორციელებს, ხელბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციას, უზრუნველოფს ახალგაზრდების ტურნირებში და შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღებას.

2

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლა
ახორციელებს, რაგბის პოპულარიზაციასა და განვითარებას, საწვრთნელი ბაზის შექმნას, გუნდების ჩამოყალიბებას.

3

ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება
უზრუნველყოფს, საბიბლიოთეკო დოკუმენტაციის შეგროვებას, ცნობიერების ამაღლებას, სასკოლო ბიბლიოთეკის საქმიანობის კოორდინაციას.

4

(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი'' უზრუნველყოფს სარიტუალო მომსახურებას.

5

ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი
ახორციელებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებას, გამოფენების მოწყობას.

საჯარო ინფორმაცია

მუნიციპალიტეტის საქმიანობის განხორციელებისას აუცილებელია გამჭირვალე მმართველობის დამკვიდრება. გადაწყვეტილების მიღებისას ღიაობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მოქალაქეებს ადმინისტრაციული პროცესების მიმართ უქმნის ნდობას. ინფორმაციის თავისუფლება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე. ამდენად, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დაცულ იქნას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი და პირობები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით.

პროაქტიული გამოქვეყნება გულისხმობს, საჯარო დაწესებულების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსებზე განთავსებას.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის N4/6 დადგენილება განსაზღვრავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის (შემდგომმუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებები) მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესს, ფორმას, ადგილს და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას. ამავე დადგენილების თანახმად, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

საჯარო ინფორმაცია

საჯარო ინფორმაციის გაცემისას აუცილებელია დაცულ იქნას მესამე პირთა კანონით დაცული ინტერესები, რაც პირველ რიგში გამოიხატება პერსონალური მონაცემების დაცვით.
„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) არის – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით ;
პერსონალური მონაცემები შეიძლება იყოს მაგალითად, პირის დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი, სამედიცინო ჩანაწერები და ა. შ.
ამდენად, აუცილებელია, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და გაცემა მოხდეს საჯარო ინფორმაციის გაცემის წესებისა და პერსონალური მონაცემების დაცვით.
ნიციპალიტეტის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია არ გასცეს ისეთი სახის ინფორმაცია, რაც მოიცავს მესამე პირის შესახებ პერსონალურ მონაცემებს, მაგალითად: რა სახის სოციალური დახმარება გაეწია კონკრეტულ პირს, პროგრამის ფარგლებში

რა ფინანსური დახმარება გასწია მუნიციპალიტეტმა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით და სხვა. ასევე დაუშვებელია თანამშრომელმა გასცეს პირის შესახებ ისეთი მონაცემები, როგორიცაა პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, თანამდებობრივი სარგო და სხვა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფო–პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით.
აღნიშნულის შესაბამისად, დაუშვებელია თანამშრომელმა გაამხილოს იმ საჯარო მოსამსახურთა ვინაობა რომელმაც უშუალოდ მიიღო მონაწილეობა ამა თუ იმ დოკუმენტის პროექტის მომზადებაში.

მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალურ პროცესებში

მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალურ პროცესებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. აღნიშნული განსაზღვრავს მოქალაქეთა სწორ მოლოდინებსა და საჭიროებებს.

მოქალაქეთა ჩართულობა ქმნის ინფორმაციის წყაროს, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და არსებული რესურსების ეფექტიანობის გაზრდას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია:

1. პეტიცია
2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო
3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა
4. მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.
5. ახალგაზრდული საბჭო

საკონტაქტო

მისამართი:

ქ.ფოთი, აღმაშენებლის ქ. N12

ელ. ფოსტა:

info.poti@poti.gov.ge

ტელეფონი:

0493 22 12 95

სამუშაო საათები:

ორშაბათი-პარასკევი: 09:00 – 18:00
შესვენება: 13:00 – 14:00